საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება 14 თებერვლიდან და განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „**განათლების ფასილიტატორი**"

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

განათლების ფასილიტატორის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
ბ) ჯგუფთან მუშაობის და კოორდინაციის გამოცდილება;
გ) პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება;
დ) სასურველია ერთ-ერთ უცხოურ ენაზე (ინგლისურ ან რუსულ ენებზე) კომუნიკაციის უნარი;
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Power Point) კარგად ცოდნა.

განათლების ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:
ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;
გ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბება;
ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
გ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია;
დ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ე) დროის მართვა.

კონკურსის შედეგად განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლი 31 მარტის ჩათვლით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1600 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დაადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველო კანონი "პროფესიული განათლების შესახებ"

ბ) საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება ,, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ'

დ) ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ.“.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე, სადაც კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.